საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 5507/01
02/06/2021

5507-01-2-202106021750

შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას“
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 34, მე-6 სართული

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 18 მაისის N8538 წერილი, რომელიც ეხება ქ. თბილისში შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას“ 5500 $მ^3$ ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (20000 ტონა წლიური ტვირთბრუნვის გაზრდა 60000 ტონა წლიურ ტვირთბრუნვამდე) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ საწარმოს გენგეგმაზე (სურ. 7.1.8 - საწარმოს გენ გეგმა მასზე მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების ჩვენებით; დანართი 1) დატანილი ინფორმაცია არ იკითხება, შესაბამისად საჭიროებს კორექტირებას;
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით შედეგად, საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 65 მეტრში ფიქსირდება კერძო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები შენობა-ნაგებობებით (ს/კ 01.19.26.002.007; 01.19.26.002.047), რის შესახებაც არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია გზშ-ის ანგარიშში. გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია 500 მ რადიუსში არსებული ყველა ობიექტის შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დანართის სახით წარმოდგენილია 2020 წლის წლიური გაზომვის (მონიტორინგის) შედეგები, რაც დოკუმენტაციას თან არ ერთვის;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი 2020 წლის 6 ოქტომბრის N81 სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხი, კერძოდ გზშ-ის დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო სარქველებზე ფილტრების დაყენების შეუძლებლობის დასაბუთება, სისტემის ტექნიკური ანგარიში და შესაბამისი ექსპერტის დასკვნა, თუმცა წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში მოცემულია მხოლოდ სკოპინგის ეტაპზე წარმოდგენილი იგივე დოკუმენტაცია;

- თქვენ მიერ წარმოდგენილ განცხადებაში მითითებულია, რომ წარმოდგენილია ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი ანგარიშს თან არ ახლავს. გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისთვის – საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, ფიზიკური პირისთვის – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლი;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ კონსულტანტთა ნუსხაში, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს დოკუმენტის მომზადებაში მითითებულია მხოლოდ ერთი კონსულტანტი (გარემოს დაცვის სპეციალისტი). გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს ინფორმაცია იმ კონსულტანტის დასახელებისა და იურიდიული მისამართის შესახებ, რომელიც მონაწილეობდა გზშ-ის ანგარიშის მომზადებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დაზუსტებას საჭიროებს მხოლოდ ერთი სპეციალისტის მიერ იქნა მომზადებული აღნიშნული დოკუმენტაცია თუ არა (მათ შორის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტის შედგენაში). გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამასთან, დოკუმენტის ელ-ვერსიაში არ ფიქსირდება კონსულტანტის ხელმოწერა, რაც საჭიროებს კორექტირებას.

სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე